ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 15—16 1883—1909 წ. 30 აგვისტო

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: ქრისტე რეკს--თარგმანი, მღვ. იოანნე ლუკიანოვისა. — დაბა ყვირილის თავ-გადასავალი და შორაპნის მაზრის აღმინისტრაციის მოღვაწეობის მატიანე.—ბიბლიოგრაფია.— ცდა ხორბლის თესვისა ლევიცკის მიბაძვით. -- სოფლად. —სპარსეთი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და **კეთილ ზნეობაზე:** სახარება მათესი, თავი მესამე.—საეკლო კითხვების განმარტება —განცხადება.

ქრისტე რეკს!..

(რუსულით).

„ქრისტე რეკს“—აი ამ ორ სიტყვას დავაწერ-დი სათაურათ, ქვეყნიერების ისტორია რომ შეადგინდა. ამასთანავე უსათუოდ მიუმატებდი: „მაგრამ იმას (ქრისტეს) არ უღებენ კარს“. სახელდობრ, სწორედ ეს ახასიათებს კაცობრიობის ისტორიას: სწავლა-მოძღვრება ჯვარცმულის მაცხოვრისა რეკს ხალხის გულში, მაგრამ ხალხი ყურს იყრუებს და არ უღებს კარებს. ეს ხდება არა რომელსამე ერთ ხანში, არამედ ყოველთვის, იმ დროიდგან მოყოლებული, როდესაც დედამიწაზედ გაისმა ხმა: „გიყვარდეთ ერთმანეთი.“

დრო და დრო, როდესაც მიმდინარე ცხოვრება მეტის-მეტად შორდება ქრისტიანობრივ მოძღვრებას-მეტის-მეტად ეწინააღმდეგება მას,— მე გულ-ნატკენი ვუფიქრდები ქრისტიანობის ისტორიას, და ამ ისტორიაში, თავ-გადადებით ვეძებ ახსნას გულის მომწყვლელი კითხვისას: „რატომ“? ქვეყანა რატომ არის ყურ-მოყრუებული ქრისტეს „რეკაზე“?.. და მე მგონია, რომ ვიპერ ამ კითხვის ახსნის ძაფს, რომ წარსული საუკუნეების ნისლიანი სიღრმიდგან, უთავბოლოდ არეულ-დარეული ფაკტებიდგან გამოჩანს ჭეშმარიტება და სდგას ჩემ წინ სასტიკი, დაღონებული...

აი პირველი ხანა ქრისტიანობის ქვეყნად გაჩენისა. იუდეიაზე გამეფებულია რომის მახვილი, ასეთ სხვისი ბატონობის უღელ ქვეშ თითქოს ყველას ერთნაირად უნდა ეგრძნო თავის თავი უბედურად და შეერთებულიყვნენ საერთო მტერთან საბრძოლველად. მაგრამ აქაც გამოჩნდნენ ისეთები, რომელთაც უნდოდათ დამონავებრინათ თავისი, ისედაც დამონავებული მოძმეები. ესენი იყვნენ მატყუარა ფარისევლები და ამაყი სადუკეველები. პირველი ატყუებდენ ხალხს და სცხოვრობდენ ამ მოტყუებით; მეორეთ-კი სძაგდათ მდაბიო ხალხიმ ისი უვიცობისათვის და სრულებითაც არა სცდილობდნენ მისი სიკეთისთვის. მაშინ, როდესაც ფარისევლები და სადუკეველები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ცხოვრების სიმდიდრით და ყოველივე სიწმიდის შეურაცხყოოფით,—იუდელთა მდაბიო ხალხი მძიმეთ იტანჯებოდა, მოკლებული სინათლეს, ბედნიერებას, ცხოვრების თვით პატარა სიხარულსაც..

და აი ამ დროს იქ გაისმა მოწოდება ერთმანეთის სიყვარულისადმი, ერთმანეთის შებრალებაზე. იუდეველთა გულში დაიწყო რეკა ქრისტემ. მაგრამ რას ვხედავთ?—ფარისეველთა და სადუკეველთა გული არ გაიღო იმ მოწოდების მიღებისათვის! როდესაც ქრისტემ უთხრა ნათლად და მკაფიოდ: გებრალებოდეთ თქვენი ძმები, რადგანაც ისინი მეტის-მეტად იტანჯებიან,—ფარისევლებმა მთელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ძალ-ღონით მოსთხოვეს დიდს მოძღვარს სიყვარულისას: ეჩვენებინა, „სად არის ამაზე ნათქვამი მოსეს სჯულში; და თუ მოსეს სჯულში არ არის, არც მიღება უნდა. ამნაირათ, სჯულით, როგორც კედლით ისე გაიყვნენ ფარისეველები ქრისტესგან. ამნაირათ, ანუ ამის მგზავსად, მოიქცნენ სადუკეველებიც. „თვისთა თანა მოვიდა,—ამბობს მოციქული, — და თვისთა იგი არა შეიწყნარეს.“ რატომ? თითქო ისინი მესსიას მოსვლამდის მომეტებულად იმაზე ლაპარაკობდნენ, მომეტებულად მეცადინობდენ მისი მოსვლის დროის გამოურკვეველებაზე; ხოლო როცა მოვიდა,—მაშინ-კი უარის თქვეს! . იმიტომ რომ იგი, მქადაგებელი მხოლოდ სიყვარულისა და სიბრალულისა ტანჯულთა მიმართ, თითონ იგი ტანჯული იყო, უცხო იმათთვის, რომელნიც დაკმაყოფილებულნი იყვნენ ცხოვრებაში ყველაფრით. იმათი გული ყრუ აღმოჩნდა იმიტომ, რომ გასუქებული იყო სისხლითი, შრომითი ოფლით სწორეთ იმათი, რომლების მიმართ ქრისტე მოუწოდდა, რომ შეეყვარებინათ და შებრალებოდათ... ვინც უღელს ადგამს, მას აღარ ესმის მოწოდება ამ უღლის აღებაზე. ქრისტიანობა ხომ დაუცხრომელი მოწოდება არის ქვეყნის ტანჯვის შემსუბუქებაზე, არის მოწოდება უღლის ქვეყნიდგან, ბოროტების, უსამართლობის და ტყუილის მოსპობისა.

როდესაც ეს აზრები ჩემ კითხვაზე გაჩნდნენ ჩემს გულში, მე ნათლად გავიგე და ვიგრძნე, რომ სწორეთ ამაში იმყოფება სიმართლ : სწავლა-მოძღვრება ტანჯვაზე გასაგებარია მხოლოდ იმათთვის, მისაღებია გულითა და სულით იმათ მიერ მხოლოდ, რომელთაც ტანჯვა გამოუვლიათ, ან იტანჯებიან. მე, გავიგე-რა ეს, თითქოს ავედი იმ მაღლობზე, საიდანაც ნათლად მოსჩანან შესახედაობანი ქრისტიანობრივი ისტორიისა ..

ჩემი თვალი პირველადვე მიიპყრო ქრისტეს პირველ მოწაფეების ჯგუფმ. აი ეს საწყალი, ღარიბი გალილეველი მეთევზები. მთელი მათი სიცოცხლე საცხე იყო ტანჯვა-წვალებით სისაწყლე-სიღარიბით. არა ერთხელ და ორჯელ მოხრილან ისინი სიცოცხლის მძიმე ტვირთ ქვეშ; ხშირად სიცოცხლის სასტიკ სინამდვილეს მათი უკანასკნელი იმედები გაუცრუებია. და აი იმათ გულში დარეკა ქრისტემ სიყვარულისა და სიბრალულისათვის მოწოდებით. მაშინვე სიხარულით მიიღეს იმათ ასეთი კეთილი ხარება! ტანჯულთ დამცირებულთ, შეურაცხყოფილი თავიანთი უფროსი თანამემამულისაგან, იმათ იცოდნენ, რა ძვირფასია ტანჯულისთვის კეთილი განწყობილება და, ჩაინერგესრა გულში იდეია ქრისტიანობრივი სიყვარულისა, წავიდნენ ქვეყანაზე მის მახარობლებად.

როდესაც მათი ქადაგება მოედო მთელ ქვეყანას, — ვინ თანაუგრძნო ამ ქადაგებას?—ისევ დამცირებულ-შეურაცხყოფილებმა. ქრისტიანობას პირველ მისი არსებობის დროს მომეტებულად ეკუთვნოდნენ მონები. „ქრისტიანობა, ამბობდნენ რომაელები,—ეს ხომ სარწმუნებაა მონებისა!“ ასეთი შენიშვნა რომაელებისა დიდად საგულისხმოა. რას სახამდენ თავის იდეალად რომაელები? სახეო მწიფოს და ძალას, ტლანქ ფიზიკურ ძალას. რომაელისთვის სიდიადე მისი სახელმწიფოსი ყველაფერს შეადგენდა; ხოლო სიდიადე მათი სახელმწიფოსი, მთელი ქვეყნის დამონებით, იყო დამყარებული ძალაზე, ანუ უკეთ, ძალმომრეობაზე. სახელმწიფოს გასაძლიერებლად საჭირო იყო შეევიწროვება ქვეშევრდომთა, დამცირება, შეურაცხება მათი თავისუფლებისა, შებრალება იმათი ნიშნია უმთავრესი მიზნის უარ ყოფისა. სხვა გზა რომაელთათვის არ იყო; და რადგანაც რომაელს უყვარდა მხოლოდ სახელმწიფო, მაშასადამე, მას სიძულვილი ექნებოდა სარწმუნოებისა, რომელიც სიბრალულს ჰქადაგებდა. ქრისტე რეკდა ქვეყნიურ გამარჯვებულთ გულში. მოუწოდდა სიყვარულისადმი დამარცხებულთა, მაგრამ მათი გული ყრუთ დარჩა ამ მოწოდებაზე.

ჩემი მხედველობა უცქერის შემდეგ და ყველგან ისტორიაში, მწუხარებით არჩევს იმავეს ურათს: ქრისტე რეკს, რეკს, რეკს. მაგრამ ეღება მას კარები მხოლოდ ტანჯულ და დაჩაგრულ ხალხის გულისა.

განა, მჩაგვრელნი, მავიწროებელნი, მაძღარნი, ცხოვრებით დაკმაყოფილებულნი,—ყველა ესენი არ ისმენენ მის მოწოდებას. რეკა ქრისტეს დიდი მძოლვრებისა თუმცა ესმის მათ სინიდისს, მაგრამ უფრო განარისხებს, რადგანაც არ აძლევს მოსვენებას მაძღრობის კმაყოფილებაშიაც...

მოხდება ისიც, რომ თავგამოდებული მოწოდება ტანჯულთ სიბრალულისა სწვდება განებივრებულთ გულს. ზოგჯერ მოსწონთ კიდეც მოწოდება. მაგრამ როგორც-კი დადგება წამი, როცა სიტყვა საქმეზე უნდა გადავიდეს, და მაშასადამე, თავი უნდა დაანებონ სხვების შეევიწროვებას, — მაშვინვე ხმობა „ოსანა“—სი შეიცვლება ხოლმე ყვირილზე: „ჯვარს-აცვი, ჯვარს-აცვი ეგე!“

ქრისტე მაცხოვარი-კი მაინც რეკს.... ჰოი ღვთაებ ტანჯულო, რეკე, განუწყვეტლათ ჰრეკე; ნუ დაუშვებ, რომ ბოროტებამ და უსამართლობამ დაიპყროს ქვეყანა. ნუ დაუშვებ, რომ ქვეყანამ დაივიწყოს გოლგოთის ჯვარი და შენი სიყვარულის მცნება....

მდგდ. ოიანნე ლუკიანოფი.

დაბა ყვირილის თავგადასავალი და შოკრაპნის მაზრის ადმინისტრაციის მოღვაწეობის მატიანე.

არ ვგონებთ, რომ რომელიმე სოფელს ან დაბას იმდენი უბედურება მიდგომოდეს, რამდენიც ამ საცოდავ ყვირილის დაბას მიდგომია დაარსებიდგან. შორაპნის მაზრის ადმინისტრაციის მატიანე ერთ უშველებელ დიდ ტომს შეადგენს და, ვგონებ, ამ მატიანემ მთელს გუბერნიის მცხოვრებთ თვალები აუხილოს და განცვიფრებაში მოიყვანოს. საზოგადოთ ძლიერ საინტერესოა შორაპნის მაზრის ადმინისტრაციის მსახურების და მოღვაწეობის აღწერა.

დ. ყვირილა არსებობს 1866 წლიდგან და ამ დროიდგან მოუთხრობთ მიკითხველებს თუ როგორ დაიბადა ეს დაბა, როგორ გაიზარდა და დღეს რა მდგომარეობაშია? ამასთან განგებამ ვის არგუნა მართვა-გამგეობა ამ მაზრისა და რომელს მათგანს რა სამსახური მიუძღვის საზოგადოების წინაშე? მაგრამ სანამ თავიდგან დავიწყებდეთ ყვირილის თავგადასავლის აღწერას, არ შეიძლება არ მივაქციოთ ყუდადღება ამ ხნობით წამოყენებულ კითხვებს, რომელთა გადაწყვეტა სურს ადმინისტრაციას თავის სურვილისამებრ მცხოვრებათა სურვილის წინააღმდეგ. ამისათვის დღეს დღეობით ჩვენ მოუთხრობთ მკითხველებს დღიური ჰირ-ვარამზე და შემდეგ კი თავიდან დავიწყებთ მატიანის წერას.

ყველამ იცის, რომ დ. ყვირილა გადასწვეს და გადაბუგეს, მილიონზე მეტი ზარალი მიაყენეს მცხოვრებლებს. მცხოვრებლები ასე სასტიკად დასჯეს იმისათვის, რომ 1905 წელში არგანიზაციამ იარაღი წაართვა ჯარს, ზოგიერთი მოჰკლა და ზოგი დაატუსაღა. ამავე ორგანიზაციამ ხაზინა გაცარცვა და სოფლის კანცელარიები გადასწვა. მაზრის უფროსის ნებართვით სტრაჟნიკების იარაღი წაიღეს რაზმელებმა მაზრის სამართველოდან. ადგილობით ადმინისტრაციას შეეკითხა გუბერნიის მთავრობა ფულის რაოდენობაზე ყვირილის ხაზინაში, და წინადადება მ სცა მოტაცების შიშისა გამო ფულები სახელმწიფო ბანკში გაეგზავნათ, მაგრამ გუბერნიის მთავრობა დაარწმუნეს, რომ ხაზინაში არაფერი შესამჩნევი ფულები არ იყო. როცა რაზმელები მიბრძანდენ, სტრაჟნიკები და ყველა ყარაულები, რომელთაც ფიცი ჰქონდათ მიღებული ხაზინის დაცვისთვის—უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიომებთო, გულზე ხელ დაკრეფილები შესცქეროდნენ ორას ერთი ათასი მანეთის ფულის დათვლას და წაღებას კვიტანციით მაშინდელ რაზმელებისაგან. ადმინისტრაცია ყველაფერს ამას ხედავდა და არა თუ იოლად ამხედრდენ, არამედ კრინტიც არ დაუძრავთ...

როცა დამსჯელი რაზმები მოვიდნენ, ყველაფერი მცხოვრებლებს დააბრალეს, მაზრის უფროსების დარწმუნებით, და ამისთვის სამი დღე და სამი ღამე ყვირილის შენობები ცეცხლის ალში იყო გახვეული; მცხოვრებლები კი შორე ადგილებიდან უყურებდნენ, თუ როგორ იწოდა მათი ავლა-დიდება. ყველა დუქნების გადაწვის შემდეგ დაუპირეს გადაწვა დანარჩენ შენობებს დაბაში და მთელი მაზრის სოფლებს, თუ 247 ათასი მანეთი არ იქნებოდა შემოტანილი მცხოვრებლებიდგან. ფულის შეტანის ვადა იყო დანიშნული 7 დღე. შეიქნა მთელ ხალხში ტირილი, ჟივილი, კვნესა და „ღრჭენა კბილთა“. მოთხოვნილზე მეტი ფული შეგროვდა ხაზინაში არა ერთი ათასი მანეთი, რომელიც დაუბრუნეს ადმინისტრაციას, მაგრამ დაუბრუნდა თუ არა ეს ფულები გარდამხდელებს, ჯერეთ არ არის შეტყობილი.

ამ კაჭირვების დროს ყვირილის ვაჭრებს მათი უზრუნველ ყოფისათვის ურჩიეს კერძო დარაჯების დაყენება, ისიც დროებითად. ბოლოს, როგორც იქნა ჩადგა თავის კალაპოტში ხალხის ცხოვრება, ყვირილა ისევ გაცოცხლდა და დღეს დუქნების ორ-სამ-სართულიანი შენობები გაკვირვებს კიდეც მნახველს. მეოთხედი გადამწვარი დუქნებისა კიდევ აუშენებელია, რადგან სიღარიბისა გამო ადგილის პატრონებმა წელი ვეღარ წამოიღეს...

დ. ყვირილა თითქმის ერთი უმთავრესი სავაჭრო ადგილი არის შორაპნის მაზრაში. რკინის გზის გასვლის შემდეგ ამ დაბიდან გადიოდა უცხოეთში მილიონი მანეთის მეტი სიმინდი და ღვინოც ამდენი ჩვენ მხარეშივე. ეს ძლიერ მოეხმარა ყვილილის ვაჭრობის საქმეს. მარგანეცის ვაჭრობის საქმე დიდი სასარგებლო იყო მთელი გუბერნიის მცხოვრებთათვის, და განსაკუთრებით შორაპნის მაზრისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლოს დროს არა თუ აქედგან არ გადის სხვა-და-სხვა ნაწარმოები ამ მაზრისა, განსაკუთრებით, სიმინდის, არამედ ნახევარ სარჩოზე მეტი სიმინდი ნაყიდი შემოაქვთ. ხალხი თან-და-თან ღარიბდება, ვალში ეფლება და ცხოვრება უჭირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინანდელ დროში ბევრათ უფრო თავაზიანურათ ეპყრობოდნენ ხალხს ადმინისტრაციის მოხელენი. მაგრამ, ბოლოს დამსჯელი რაზმების საქციელის მიხედვით, შეიცვალა ეს თავაზიანური დამოკიდებულება ხალხსა და ადმინისტრაციის მოხელეთა შორის. დამსჯელი რაზმები, რაც უნდოდათ, იმას სჩადიოდნენ. შეეძლოთ კაცი კიდეც გაელახათ, კიდეც გაეგლიჯათ და თუმცა რაიმე, სულ ცოტა, წინაღმდეგობას შეამჩნევდნენ, კიდეც მოკლავდნენ. ამას სჩადიოდნენ დარაჯები, სალდათები და ყველა უბრალო მოხელეები, რა საკვირველია, ომიანობის მდგომარეობის გამოცხადების. წყალობით. კარგად მახსოვს, რომ როცა ხელმწიფე და უმაღლესი მართებლობა ომიანობის წესების მდგომარეობას აცხადებდენ, ამავე დროს ყველა მოხელე პირთა ეცხადებოდათ, რომ მშვიდობიანი ხალხი დაეცვათ ყოველ გვარი ძალმომრეობისა და შეწუხებისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში იშვიათად მოხდება გარჩევა ბრალიანისა უბრალოსაგან. ბევრი მოხელე დარწმუნებული არის, რომ სრული უფლება აქვს, თუ გინდ ყოველის უმიზეზოთ სცემოს, გვერდები დაამტვრიოს და საქმის გამოძიებით თუ აღმოჩნდა მართალი, მადლობა უნდა შესწიროს კიდე ღმერთს, რომ სატუსაღოში არ გაგზავნეს.

ამ ომიანობის მდგომარეობის გამოცხადებით, საზოგადოთ უნდა სთქვას კაცმა, დიდათ ისარგებლეს ადმინისტრაციის მოხელეთა. ისარგებლეს იმოდენათ ფულებით კი არა, თავისი უფლების აღმატებით. არავის არ შეეძლო უარი ეთქვა მათი დადგენილების აღსრულებაზე და ამით მართლა ბევრი რამ საქმე გაკეთდა.

მანსვეტოვის მაზრის უფროსობის დროს ყვირილის ვაჭრები დაითანხმეს, რომ სავაჭრო დუქნების წინა ადგილები, ბაზარი და ზოგიერთი გზები რიყის ქვით მოეკირწლათ. ბრძანებას უარი ვერავინ ვერ უთხრა. გაიცა ბრძანება, რომ სოფლის საზოგადოება გამოეწვიათ ურმებით და ეზიდვინებიათ რიყის ქვები და სილა. მოიწვიეს რუსის მუშები ტროტუარების და „კანავების“ გასაყვანად. გაჩაღდა მუშაობა. ბლეხები, კარგა შორიდან მოსულნი, ურმებით მუშაობდენ მუქთად, სასმელ-საჭმელს მოკლებულნი. როდესაც შეიქნებოდა ლაპარაკი შემბრალე კაცებისაგან იმის შესახებ, რომ ბლეხები არ არიან ვალდებულნი მუქთად იმუშაონ ყვირილის ბაზრისა და არხების გასაყვანად, მოხელეები ეტყოდენ: — იმათაც შეხვდება ვავლა ყვირილაშიო და მით თავდებოდა ყოველივე ლაპარაკი შებრალებაზე.

ნათქვამია — უბედურებაა, როდესაც ხარაზი დაიწყებს მზარეულებას და მზარეული ხარაზობასო. ასეთი საქმე მოხდა ყვირილაშიაც. წყლის სადენი თხრილები მრავალს ადგილზედ ი'ე მაღლა გაკეთდა, რომ წყალი არ სცვდება მათ, დგება ქუჩაში და გავლა შეუძლებელად ხდება ქუჩაზე, ხშირად ხალხი გასამშრალებლათ ამ თხრილებით დაიარება, რომ ტბებს ასცილდეს. დუქნის წინ ვაჭრებს ზოგიერთებს ძალით გააკეთებინეს ამაღლებული ქვაფენილი, რომლიდანაც ნაწილი იწრიტება წყლის სადენში, საზოგადო შარიდგან კი დარჩენილია გზა და წვიმის დროს დიდი ტალახიც დგება. დიდი ხანია, იძიებენ, თუ რამდენი ფულია დახარჯული ამ ქვაფენილზე და არხებზე, მაგრამ ვერ შეუტყვიათ ჯერეთ.

წინანდელმა მაზრის უფროსმა დიდათ ისახელა თავი. იმის დროს დაარსდა ყვირილაში კლუბი, გაკეთდა ქვაფენილები, მოიკირწყლა ზოგიერთი ქუჩა და ბაზრის ადგილი, ნახევარზე მეტი, რიყის ქვით, მოპოვებულ იქმნა ცეცხლის საქრობი ორი ბოჭკა თავის საჭყეპელებით, რომელშაც, როგორც ამბობენ, მიუციათ ათას ორასი მანეთი, მოშალეს ორმოცამდე ფარანი ძველი სისტემისა, რომელიც რელსის სვეტებზე იყო მოწყობილი და იმათ მაგიერათ დასდგეს რვა ფარანი ახალი სისტემის. ეს ფანრები ერთი დაიდგა მაზრის უფროსმა, ერთი მაზრის სამმართველომ, ერთი ფოშტამ და ერთი მომრიგებელმა მოსამართლემ, სამი ვაჭრების დუქნების წინ და ერთიც ბაზრის მოედანზე.*) ახალი ფანრებით განათების ხარჯათ, საქალაქო სასწავლებლის შესანახავად, ნაგვის გასატანად, შვიდი დარაჯის შესანახავად უნდა იკრიბებოდეს 4000 მანეთამდე, მაგრამ იკრიბება ბევრათ მეტი

*) ერთ უცხოელ კაცს დაეცა ლამე ყდენტი, რომელმაც გაკარცვა იგი, მაგრამ სიკვდილს გადარჩა და ამ გადარჩენის მოსაგონებლად ერთი ფანარი დასდგა ხიდის თავზე მარცხნივ. ყვირილაში, რომლის ფასი ოცი თუმანია. მაგრამ ეს ფულები მაინც გარდახდა საზოგადოებას დს ვის ჯიბეში ჩავიდა, ვერ შეუტყვიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისე არის დაბნეული ანგარიში, რომ არც ერთ ვაჭარს არ შეუძლია შეიტყოს, თუ რამდენი ხდება და სახელდობ რისთვის?

ახალმა მაზრის უფროსმა მოინდომა, რომ ვაჭრებთან ერთად ფულები გარდაეხადათ ყვირილის ყველა მახლობელ მცხოვრებთაც—რომელთა რიცხვი ადის 200-დე საქარის, ფუთის, ცხრაწყაროს და დაბლა საქარის სოფლელებს არც ერთ წინანდელ მაზრის უფროსს კრინტი არ დაუძრავს ამ ხალხის დაბეგვრაზედ, მაგრამ ახალმა მაზრის უფროსმა ძლიერ დაიმედა ვაჭრები, რომ იგი ეცდება ათას ხუთასი მანეთი გარდაახდევინოს ყვირილის გარშემო მცხოვრებთა, რომელთაც დღემდის არაფერი არ გადუხდიათ. ამაზედ მცხოვრებთა შეიტანეს საჩივარი გენერალ გუბერნატორთან, რომელიც მაზრის უფროსს სთხოვს პასუხს თუ, რა საფუძვლით ახდევინებს იგი მოჩივნებს გადასახადს; ამასთანავე საქმის გამოძიებაც არის დანიშნული. გასაკვირველია, ყვირილის ვაჭრები, ნაცვლად იმისა, რომ გაიგონ, რამდენი ხდებათ ზედ მეტი ფული თავიანთ განჩინებაზე და ითხოვონ ამ მეტი ფულის გარდახდევინებისაგან განთავისუფლება, ისინი სთხოვენ ადმინისტრაციას, რომ დაბეგრონ მომჩივნებიც კი და გარდასახადი დაადვინ მათ, როდესაც მათ კანონით არავითარი გარდასახადი არ ეკუთვნის. დიახ! მართლა ბრძანებს საღვთო წერილი: „შურმა შეიპყრა ერი უსწავლელი და ცეცხლმან შესჭამნეს წინაღმდეგნი“. ეს ჭეშმარიტად ხდება ყვირილაზე.

(შემდეგი იქნება.)

ბიბლიოგრაფია.

დოქტ. დ. უზნაძე. „ვლადიმერ სოლოვიოვი: მისი თეორია შემეცნებისა და მეტაფიზიკა“ (გერმანულად) ჰალლე. 1909 წ.

ეს შრომა ჩვენის ახალგაზრდა თანამემამულის ბ-ნ დიმიტრი უზნაძისა, ჩვენის აზრით, ერთ საუკეთესო გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე რუსულ ფილოსოფიის შესახებ. საფუძვლად მას უძევს დისსერტაცია, რომელისთვისაც ჰალლეს უნ-ვერსტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტს ბ-ნი უზნაძე „ფილოსოფიის დოკტორის“ ხარისხით დაუჯილდოვებია. ავტორისთვის დამახასიათებელია არა მარტო ფართო ფილოსოფიური ცოდნა, განსაკუთრებით გერმანელ კლასიკების (უწინარეს ყოვლისა—კ ნტისა და შელლინგისა), არამედ ნათელი და სისტემატიური აზროვნება, მოხდენილი და დალაგებულ წერის ნიჭი და მშვენიერი გერმანული სტილი.

სოლოვიოვი იმიტომ ავარჩიეო,—ამბობს შესავალში ბ-ნი უზნაძე,—რომ მას ყველაზე მეტი გავლენა აქვს თანამედროვე რუსულს ფილოსოფიაზეო. „მთელი რუსული ფილოსოფია, რომელიც მხოლოდ ეხლა იშობა, ატარებს, რასაკვირველია, იმ ხალხის ბეჭედს, რომელიც მასა ჰქმნის—ბეჭედს რუსულ სულისას, ეს უკანასკნელი კი სწორედ ჩვენმა ფილოსოფოსმა გამოხატა ყველაზე აშკარად. ღრმა სარწმუნოებრივობა ახასიათებს უწინარეს ყოვლისა რუსის სულს, რასაც ტოლსტოი, დოსტოევსკი და რუსულ ლიტერატურის სხვა გამოჩენილი წარმომადგენელებიც ამტკიცებენ. ამავე სარწმუნოებრივობას შეეხვდებით ჩვენს ფილოსოფოსთანაც. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება გავითვალისწინოთ რუსული სულის მიმდინარეობა მის უმნიშვნელოვანს მოაზროვნეს ნაწერებში, როგორც, საზოგადოდ, ინტერესს მოკლებული არაა ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა ხალხის განვითარებას“.

ბ-ნ უზნაძეს სოლოვიოვის ფილოსობიიდან თავის დისსერტაციისთვის სწორედ უფრო ძნელი მხარე აურჩევია: მეტაფიზიკა და შემეცნების თეორია—ის დისციპლინები, რომელიც ავტორის აზრით დამთავრებული არაა თვით სოლოვიოვის მიერ; სისტემატიურად სოლოვიოვმა მხოლოდ თავისი ეთიკა დამთავრა, ამბობს უზნაძე. მაგრამ მეტაფიზიკა, მისი აზრით, სწორედ ის სფერაა, რომელშიაც ყველაზე ნათლად იხატება ფილოსოფიის მე: „ის შეკავშირებულია ავტორის შინაგან ხასიათთან იმიტომ რომ, ჩვენა გვგონია, არ შევსცდებით, თუ ვიტყვით, რომ მეტაფიზიკა არის მხოლოდ შევსება და გაერთიანება იმ სინამდვილისა, რომელიც ადამიანის შემოფარგლულ მსოფლიო მხედველობას აუცილებლად დისჰარმონიულად და განსაზღვრულად ეჩვენება: ის არის ცნებათ პოეზია“.

ჩვენ აქ არ შეგვიძლიან ამ საინტერესო შრომის მთელი შინაარსი დახლოვებით მაინც გადმოვსცეთ: მას უფრო სპეციალური ხასიათი აქვს და დარწმუნებულნი ვართ სპეციალისტების ყურადღებასაც დაიმსახურებს. ის მეცნიერული კეთილ-სინდისიერებაკი (ამ მხრივ ბ-ნი უზნაძე ნამდვილი მოსწავლეა გერმანულ მეცნიერების), რომელიც ამ წიგნის ყოველ სტრიქონიდან გამოსჭვივის, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი და მცოდნე თანამემამულე შესძლებს სარგებლობა მოუტანოს თავის სამშობლოს.

ცდა ხოტბლის თესვისა ლევიცკის მიბაძვით.

გაზეთის საშუალებით მსურს გავუზიარო მკითხველს ჩემი ცდა პურის თესვისა ბ-ნ ლევიცკის საშუალებით. შარშან, 1908 წელს, პირველ აგვისტოს დავთესე ოცდა თორმეტი ორმო ორ ბარის პირზე კარგად განარბილებულს მიწაში სხვა და სხვა ჯიშის პური. თითო ორმოში ჩავგდე სამი მარცვალი: ოლის პური, დიკა, უფხო, სვილა, თავთუხი, ჩვენებური ქერი, გიმალაის უქერქო ქერი, ხოლო გაზაფხულიდან — სიმინდი, გაოლიანი, ცოცხი სიმინდის მაგვარი, ფეტვი ორი ჯიშისა და ოცი ორმო კარტოფილი. ამ ნათესისაგან, რომელზედაც ფულად ბევრი არა დამიხარჯნია-რა, გარდა ჩემი შრომისა, ჩემის ბატაკებულ და გახარებულ იმედით მოველოდი მიმეღო, როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული: 25 ორმოდან 175 ფუთი ხორბალი, ორ ორმო ქერიდან—14 ფ. ასევე სიმინდ-ფეტვიდან და ოც ორმო კარტოფილიდან—50 ფ. ვფიქრობდი, თუ გასასყიდი არა, ჩემთვის სამყოფი სარჩო მაინც მომივა და ესეც კარგია მეთქი. თესვის და მოვლის დროს ვიქცეოდი ისე, როგორც ქართულ გაზეთში იყო გამოცხადებული. ვფიქრობდი, თუ რასაც ამბობდნენ გამართლდა, ქვეყნისთვის დიდი შვება იქნება მეთქი: ნაკლების შრომით და უდიდესის პურის მოსავლით დაიაფდება ხორცი, გამრავლდება საქონელი და ფრინველი, რადგან მეტი მინდვრები გადავა საძოვრად, გაიაფდება რძე, კვერცხი, ცხენისა და საქონლის ქირა. მუშახელი, რომელიც აქამდის მეტს დროს ანდომებდა პურის საშოვნელ გზას, მიუბრუნდება სხვა და სხვა საუკეთესო და საოჯახო საქმეს. ველირსებით ისეთ სიკეთეს, როგორიც ჩვენ კუთხეს მოუტანა ამ დალოცვილ პამიდორის შემოღებამ: აქამდის თუ ჩვენი ღარიბი მუშა ხალხი ცარიელ პურსა ხრავდა, ეხლა პამიდორი ყოველ შემთხვევაში დიდს შეღავათს აძლევს. სწორედ ასეთსავე სიკეთეს მოველოდი პურის თესვისაგან ბ-ნ ლევიცკის საშუალებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმედი არ გამიმართლდა.

პურის თესვა დავიწყე პირველ აგვისტოდან, მაგრამ სამწუხაროდ, გვალვა დაერთო. ამოვიდა გვიან, ისიც ვერ იყო კარგი. თითო ორმოში ჩავსვი სამი მარცვალი იმ ფიქრით რომ გამარგვლაში დამეტოვებინა უკეთესი, ან მეტი მეხმარებინა გადასარგავად სიხარულით ვადევნებდი თვალ-ყურს. ვნახე—ხან ერთი გადასპრა ჭიამ—თაგვმა—ბოსტანამ, დაცარიელდა ხან ერთი ორმო, მეორე, მესამე, და ბოლოს ერთი ორმოღა გადარჩა სამის ძირის საკმაოდ გალონივრებულ სვილა პურით. ამან გამიკეთა გული საცდელის დასამტკიცებლად, აქედან გადავრგე ორი ძირი მახლობელ ორმოებში 20 თებერვალს 1909 წ. შემდეგ ვნახე, რომ ერთი ძირი გადარგულისა გაზრდილა კარგად, მეორე გადარგული და პირველი ალაგობრივი კი ცუდად და ერთნაირად.

პირველად შემოვაყარე მიწა სამ მარტს. ჰქონდა ხუთი ღერო გამოტანილი, 26 მარტს, როცა გაუხდა 12 ღერო, გადავაწვინე. 7 აპრილს მიწა შემოუსწორე და ღერო დავთვალე, იყო 19, მეორედ შემოვაყარე მიწა 14 აპრილს, ღერო ჰქონდა 25. აპრილის 18-ს გადავაწვინე 28 ღერო. მესამედ მიწა შემოვაყარე 4 მაისს, ჰქონდა 41. მეოთხედ შემოვაყარე 21 მაისს, ღერო ჰქონდა 28. ამ დროს თავთავი შევიდა ყვავილში, რომელიც ჰქონდა გაკეთებილი ერთს მესამედს წინა ამოყრილ ღეროებს. თავთავის სიგძე იყო ხუთი ვერშოკი. თითონ ყანა არ გაზრდილა საგანგებოდ მაღალი, სამაგიეროდ ისეთი მსხვილი იყო, რომ მნახველ გლეხებს ვერ ვაჯერებდი, რომ ჩვენებური სვილა პური იყო, და მთხოვდნენ, ამ ჯიშის პურის თესლს.

მეორე და მესამე ორმოს ძირებმა გაიკეთეს თითომ 4—7 ღერო, ძლივს ღანღალით მივიდნენ

20 ღერომდის და შევიდნენ კიდეც სიყვითლეში. 21 მაისის შემდეგ არც ერთმა ძირმა არ მომცა იმედი ბღარტის მომატებისა და მივანებე თავი, რადგან დავრწმუნდი, რომ ამ ცდამ ვერაფერი სარგებლობა მომიტანა. თუმცა კი უნდა ვთქვა, რომ რაღაცა სიმართლესთან უნდა იყოს მიახლოვებული, მაგრამ რადგან ჩვენ ჯერ არაფერი გვაქვს გამოკვლეული, არ ვიცით ჩვენებურ ჰავასა და ნიადაგს რა მოუხდება და რა არა, ან როდის შემოყაროს მიწა (განსაზღვრულ 21 დღეს, ჩემის აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან სხვა და სხვა მცენარეს ბევრი მიზეზისა გამო აღზრდის კანონი ეცვლება, მაშასადამე თვითონ მცენარემ უნდა შეგვატყობინოს, რა დროს რა შეუსრულოთ), ამიტომ ჯერ-ჯერობით ცდას ნაყოფი არ მოაქვს.

როგორც სწერდნენ და ამბობდნენ, ბევრი სხვაც შეუდგა ამ სისტემით ცდას. საჭიროა გაზეთის საშუალებით გამოაცხადონ ამათ, როგორ ჩაუარათ ცდამ. მე კი მაინც არ ვიშლი იმედს და ამ აგვისტოს პირველიდან დავთესე კიდევ ოცი-ოდე ძირი. ეხლა არის სიმაღლით ერთ ვერშოკამდის, მაგრამ თუ ისევ შარშანდელი ხელმძღვანელობა გავწიე, ვიცი, არა გამოვა რა; ამისათვის და თვით საქმისათვის საჭიროა, ყველამ, ვისაც კი ცდამ კარგად ჩაუარა, ან ვინც იცის ნამდვილი ვითარება საქმისა, ან თუ არის ამაზე წიგნაკები, გამოაცხადოს და მოგვაწოდოს ცნობები გაზეთ „დროების“ საშუალებით. ამის გარდა, ჩვენი სოფლის საზოგადოება აცხადებს, რომ ჯამაგირს დაუნიშნავს ისეთს კაცს, ვინც იცის ასეთი ხელოვნებით პურის მოყვანა და ისურვებს მუშაობას თელავის მაზრაში (ჩვენი სოფელი კონდოლია). საცდელ ალაგს არავინ დაუჭერს. მიღალატა კარტოფილმაც. თითო ორმოში ჩავთესე ხუთი ცალი კარტოფ ლი, თითო გირვანქამდის ორმოში. ამოვიღე ექვსი-შვიდი ცალი. სიმინდს და ფეტვს არა უშავს-რა, მაგრამ ალბად იცოდა, რომ არც იქიდან გამოვიდოდა ბევრი რამე და მთლად ცხენმა გადამიძოვა. ამით დაბოლოვდა ჩემი ცდა.

როგორც მაშინ გვიკვირდა ზღაპრული მოსავალი, ისე ეხლა გვიკვირს, რომ მთელი მიწა, რაც რამ იმ დასათეს ორმოდან ამოვა, ის არ გამოვა წონით შვიდი ფუთი და საიდან დავიჯეროთ, რომ ერთს ორმოს შეუძლიან გაზარდოს ერთ მარცვლიდან იმოდენა ბუჩქი ყანა, რომ მშრალი ხორბალი გამოვიდეს შვიდი ფუთი? თუნდაც რომ ერთს ორმოს, ე. ი. ერთ ოთხ კუთხ საჟენ მიწაზე მოვიდეს ათი გირვანქა ხორბალი, მაინც დიდი საქმეა —დესეტინა მოიცემა 600 ფუთს, 200 კოდს. არც ამის ნახევარს დავიწუნებთ.

სოფლად

დუხჭირი ცხოვრება.

სოფელში არა ჩვეულებრივ მოვლენას შენიშნავთ.—განხეთქილებას. ერთ-ერთ შორის განხეთქილებაა—მეზობლებში, მოგვარეებში, ოჯახში.

ყველა ეს წინადაც იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს უზომოდ გამწვავდა საქმე. მოხუცებს არ ახსოვთ ასეთი ჯოჯოხეთი.

ამ ულმობელმა ცხოვრებამ ადამიანი ძალზე გაასასტიკა—აღარავის ინდობს, ძალ-მომრეობს, ან არა და თაღლითობს.

არავითარი ერთობა აღარ არის მცხოვრებთა შორის, ერთი მეორეს ეკამათება: მოიტა, უნდა მომცე, ჩემია, მოგკლავ და სხვა.

მას აღარ მიაჩნია აღარც ძმა და მეგობარი. აღარც პატიოსნება და სიყვარული. სიყვარული!!. სასაცილო არ არის ამ სიტყვის წარმოთქმა? განა კიდევ მოიპოვება ვისმეს გულში სიყვარული? მხოლოდ პირზე ღა აკერია ეს მშრალი სიტყვა; ეს გრძნობა კი ღვარძლია და ბოროტებით არის შეცვლილი.

აგერ ერთი ვაჟ-ბატონი მთელ სოფელს ამ გვალვის დროს წყალს არ აძლევს ნაპინახულევის მოსარწყავად. სარწყავი რუს სათავე შეჭკრა, რიყეს არ აპრევინებს: სანამ ფულს არ მომცემთ, მანამ რიყეს არ გაგაპრევინებთო.

აგერ, მეორე სტაცებს თავის მეზობელს საკუთრებას, ნაამაგარს! სიტყვით ყველა საკუთრების მომხრეა, საქმით კი ძირს უთხრიან სხვის საკუთრებას. არც გლეხი და არც მემამულე აღარაფრად აგდებს ერთ-ერთის საკუთრებას, სხვის ნაშრომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიმეორებ, ძალმომრეობა ყოველთვის ყოფილა მაგრამ ასეთი უსამართლობა და დაუნდობლობა არავის არ ახსოვს.

ამას წინად გაზეთში თვალი მოვკარ, სოფელს თუ უშველის—კოოპერაციაო. კარგსა ბრძანებს იმისი მთქმელი. ყველა საქმეს და ხელობას შესაფერი კაცები სჭირია. რომ ვერ ხეირობს ჩვენში ამისთანა საამხანაგოები! არა ხეირობს იმიტომ რომ სოფელი სიბნელით არის მოცული, სწავლა-ცოდნა არსადაა, შეგნება არ არის; ამას გარდა ყველას მითვისებია და ფულის გაფლანგვისა ეშინიან.

ვერც ერთი საერთო საქმე ვერა ხეირობს აქეთ, არა თუ გლეხობაში, თავად-აზნაურობაშიაც: გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატი მგონი, ათ წელიწადზე მეტი უნდა იყოს, რაც დაარსებულია, ჯ ყველამ კარგად იცის, რა მდგომარეობაშიაც არის. აგრეთვე „საციციანო“ და „საფალავანდრო“ ტყის კანტორები. მუდამ განხეთქილება, შური და მტრობაა მონაწილეთა შორის.

კოოპერაციას შეუძლიან ცხოვრება გაუმჯობესოო.. ასეც უნდა იყოს, რადგან ევროპაში კოოპერაცია სასწაულს ახდენს, მაგრამ ჩვენში არა ხერხდება-რა.

საჭიროა ცოდნისა და სწავლა-განათლების გავრცელება. ამას გარდა ხალხი ლუკმა-პურის გარდა სხვაზ ,დ არაფერზე ფიქრობს. გადასახადებმა სოფელი ძირს დასცა, გაიღატაკა, სწავლა-განათლებისთვის ველარა მოუნარჩუნებია-რა. რომ თავის ნებით დაარსოს სკოლა არაფერს აძლევს გლეხი ჯ თუ არ მთრახით არც-კი ჰგზავნიან შვილს სკოლაში. სოფლის მოხელეებისათვის მთრახით იკრიფება ფული, რადგან ეს უფრო საჭირო საქმედ არის მიჩნეული, ვიდრე ხალხის განათლება...

დღეს მთელი ქართული მთავრობის მამასახლისების და სტრაჟნიკების ხელშია. ყველგან უკანონობა და უწესოობაა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. კაცს კვლა ძალზე გახშირდა. უდანაშაულო კაცსა ჰკლავენ, მკვლელი კი თავისუფლათ დაიარება.

და ამის შემდეგ, განა სოფელში კოოპერაცია ან სხვა რამ კარგი ფეხს მოიკიდებს?

(„დროება“)

ესეთი უბედურია ხალხის მდგომარეობა ქართლის და კახეთისკენ, როგორც იწერებიან. მაზედ უარესია თითქმის იმერეთში. აქეთ მართებლობის მამასახლისები ბევრგან არ არიან, მაგრამ კენჭის ყრით აღრჩეულნიც ზოგიერთები უარეაებია. განსაკუთრებით ზოგიერთნი ბოქაულები და მდაბალი მოხელე პოლიციისა წრეს გადადიან. ერთი ბოქაული ყოველ კაცს ფულებს ესესხოულება და თუ ბოლოს მოსთხოვა ვინმემ, სიკვდილს ეძალება. შიშით ველარავის გაუბედნია რამე. არ გაგონილა და არავინ არ შესწრებია ამისთანა თავაშვებულებას, როგორიც დღეს არსებობს. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები დღეს აქ არიან და ყოველიფერი შეუძლიათ, თვითონ იხილონ და დაინახონ თავის თვალით და თუ ოდნავ რამეზე დახმარება შეუძლიათ უთუოდ უნდა შეკითხვა შეიტანონ სათათბიროში და მოსთხოვონ შინაგან საქმის მინისტრს: იცან რამე ამ ბოროტ მოქმედებაზე თუ არა და თუ იცან, რატომ ხდება ეს უაჯაობა. სათათრეთში და სპარსეთში იკლო ყოველივე ძალმომრეობამ და ჩვენ სახელმწიფოში რათ ხდება ესეთი უბედურება? .

სპარსეთი.

რუსის ჯარა სპარსეთში.

ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ რუსის ჯარი 15 აგვისტომდე გამოვა კაზვინიდანაო. მაგრამ რუსულმა გაზეთებმა სარწმუნო წყაროდან შეიტყვეს, რომ ეს ხმა „საფუძველს მოკლებულიაო“. პირიქით რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჯარი იმ დრომდე დატოვოს კაზვინში, ვიდრე სპარსეთში „სრული მშვიდობიანობა და წესიერება“ არ დამყარდებაო.

რუსეთის მთავრობის ასეთმა გადაწყვეტილებამ ძლიერ დაფიქრა რუსული პროგრესიული გაზეთები, რომლებმაც მოწინავე წერილები უძღვნეს ამ საქმეს და მოითხოვეს რუსის ჯარის გამოყვანა კაზვინიდან. რადგან რუსის ჯარის დატოვებას სპარსეთში შეიძლება მეტად საშიში შედეგი მოჰყვესო. „რუსკია ვედომოსტი“ შემდეგსა სწერს ამ საქმის თაობაზე:

„ძნელი გასაგებია, რა საბუთის ძალით სტოვებს რუსეთის მთავრობა ჯარს სპარსეთში. როდესაც რუსის ჯარი სპარსეთში შევიდა, მთავრობამ ბეჯითად, ხაზ-გასმით გამოაცხადა, რომ რუსის ჯარი სპარსეთში განსაკუთრებით უცხოელების და რუსების ინტერესების დასაცველად მიდისო. მას შემდეგ სპარსეთში რევოლიუციამ გაიმარჯვა, ძველი შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგივრად ახალი შაჰი აიყვანეს ტახტზე; ყველა ამ დიდმა ამბავმა ისე წყნარად ჩაიარა, რომ უცხოელების ინტერესებს არაფერი არ დაჰშავებია. ამ ჟამადაც არაფერი საფრთხე არ მოელით ევროპიელებს სპარსეთში. მაშასადამე რუსის ჯარის დარჩენა სპარსეთში საჭირო აღარაა; ამიტომაც გავრცელდა ხმა, რომ რუსის ჯარს შინ დააბრუნებენო. მაგრამ ეხლა უარჰყვეს ეს ხმა და გამოაცხადეს, რომ რუსის ჯარი დარჩება ჩრდილოეთ სპარსეთშიო.

თუ ეს ცნობა მართალია, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსის ჯარი ამ მოკლე ხანში აღარ აპირებს სპარსეთიდან წამოსვლას. სპარსეთი განიცდის სერიოზულ შინაგან შფოთსა და არეულობას. ასეთი ხანა ყველგან დიდხანს გასტანს ხოლმე და მით უმეტეს ხანგრძლივი იქნება იგი ისეთს ქვეყანაში, როგორიც სპარსეთია, სადაც წესიერად მოწყობილი სახელმწიფოებრივი მმართველობა მშვიდობიანობის დროსაც არ არსებობდა, სადაც წინადაც თითქმის ანარქია სუფევდა და სადაც სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილები ფაქტიურად თითქმსს დამოუკიდებელნი იყვნენ ერთმანეთისაგან. ასეთ ქვეყანაში დიდ ხანს მოუნდებიან „სრულის წესიერების“ აღდგენას. მაშასადამე, სტოვებს რა თავის ჯარს კაზვინში სრულ წესიერების აღდგენამდე, რუსეთი ფაქტითრად კისრულობს მოვალეობას—კიდევ დიდ ხანს იყოლიოს ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში და სპარსეთის შინაურ საქმეში ჩაერიოს იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც ევროპიელთა ინტერესებს არავითარი ზარალი არ მოსდის. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ უცხოელ ჯარის ყოფნა ისეთს ქვეყანაში, სადაც შინაური ბრძოლაა გაჩაღებული, ხშირად თავის თავად გამოიწვევს ხოლმე საქმის გართულებასა. ადვილად შეიძლება საქმე ისე დატრიალდეს, რომ უცხოელი რაზმი იძულებული გახდეს აქტიურად ჩაერიოს ბრძოლაში და ერთ-ერთ მებრძოლ პარტიას დაუჭიროს მხარი.

ამნაირად რუსის ჯარის დატოვებას სპარსეთში შეიძლება მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვეს, ბოლო მისი იქ ყოფნა კი სრულებით საჭირო არაა. რუსის ჯარის შესვლამ სპარსეთში დაანახვა სპარსელებს,—თუ, რასაკვირველია ეს საჭირო იყო,—რომ სპარსეთი მუდამ მიეშველება ევროპიელებს ჩრდილოეთ სპარსეთში, როცა მათ გაჭირვება დაადგებათ. რუსის ჯარმა შეასრულა ეს თავისი დანიშნულება და ეხლა უნდა უთუოდ გამოვიდეს სპარსეთიდან, თუ რუსეთს არ უნდა რომ ახალ ავანტიურაში ჩაებას“.

სპარსეთის მთავრობისა და რუსეთის საელჩოს მოლაპარაკება.

გაზ. „რეჩ“-ი სწერს: როგორც ფრიად სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, შაჰად ნამყოფის მამედ-ალის წამოსვლა სპარსეთიდან უმთავრესად დაგვიანდა იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც გამართული იყო სპარსეთის მთავრობისა და რუსეთის საელჩოს შორის და შეეხებოდა რუსეთის საელჩოში ბესტში ჩამჯდარ სპარსელ რეაქციონერებს: ემირ-ჯენგს ბაგა-დურს და სხვებს.

რუსეთის მთავრობამ ამ რეაქციონერებისთვის მოითხოვა პასპორტები, რომ მათ თავისუფლად შესძლებოდათ სპარსეთიდან გასვლა. სპარსეთის მთავრობამ უპასუხა, რომ რადგან რუსის საელჩოში დამალულ რეაქციონერებს, ნამეტნავად ემირ-ბაგადურს, დიდი ვალი ჰმართებთ, არ შეგვიძლიან პასპორტების მიცემა, სანამ ისინი ვალების საქმეს არ გაასწორებენო.

როგორც შევიტყეთ, ინგლისის მთავრობა ძლიერ დაინტერესდა ამ მოლაპარაკებით. სპარსეთის მთავრობის აზრი სამართლიანად სცნა და ამის თაობაზე მეგობრული რჩევა მისცა რუსეთის მთავრობას.

რუსეთის მთავრობა, სხვათა შორის, თხოულობდა, რომ სპარსელი წარჩინებული რეაქციონერები უთუოდ მამედ-ალისთან ერთად გამოსულიყვნენ სპარსეთიდან“.

დიდ ქომაგობას უწევს რუსეთი როგორც ტახტიდან ჩამოგდებულ სპარსეთის შაჰს, ისე მის რეაქციონერებს. ერთად ამათი ყოფნა რუსეთში იმედს მისცემს შაჰს და მის რეაქციონერებს მალე შევიდენ სპარსეთში და გულის ჯავრი ამოიყარონ სეპეხდარის და სხვა კონსტიტუციონალისტებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისათვის რუსეთის ჯარის გამოსვლას რაც დაა-
გვიანდება, იმდენად უმჯობესი იქნება...

როგორც დეპეშამ გვაცნობა,—თუ ესეც ბევრ
სხვა ცნობასავით ტყუილი არ გამოდგა—ეს მო-
ლაპარაკება უკვე გათავებულა და მამედ-ალი თავის
საყვარელ რეაქციონერებით მალე წამოვა რუსეთში.

სპარსეთის კონსტიტუცია მკვდრია.

ერთ უცხოელ დიპლომატს, რომელსაც დიდ-
ხანს უმსახურნია სპარსეთში და თავის თვალით
უნახავს სპარსეთის ბოლონდელი ამბები, შემდეგი
უამბნია „რეჩ"-ის თანამშრომლისთვის:

„ახალი წეს-წყობილება სპარსეთში, ჩემის ღრმა
რწმენით, მკვიდრი გამოდგება. თეირანში ჯერ არა
დროს არა ჰქონია ისეთი ძალა მთავრობას, რო-
გორც ეხლა. ამას წინად სიკვდილით დასაჯეს მუშ-
ტეიდი შეიხ-ფაზლულა. სპარსეთის ისტორიაში
ჯერ არა ყოფილა ესეთი მაგალითი: ჯერ არც
ერთი სასულაერო პირი არ დაუსჯიათ სიკვდილით.
მხოლოდ მძლავრ და ხალხის ნდობით მოსილ მთავ-
რობას შეეძლო მუშტეიდის სიკვდილით დასჯა.

ამ ჟამად სპარსეთში ყველგან ამყარებენ წეს-
სიერებას. კაჟაის ხანი საუნათ-დოვლე, რომელ-
ზედაც ხმა გაავრცელეს, ვითომ იგი თეირანზე მი-
დის ტახტიდან ჩამოგდებულ შაჰის საშველადო,
ნამდვილად თითონ ამყარებს კონსტიტუციონურ
წესებს თავის სახანოში და ყველაფერში ისე იქცევა,
როგორც ნამდვილი კონსტიტუციონალისტი.

მართლა აქა-იქ კიდევ ხდება არეულობა, მაგ-
რამ ეს არეულობა სერიოზული არაა. ადერბეიჯ-
ნის ხანებმა, მათ შორის მაჭოს ხანმაც, დეპეშებით
ერთგულება გამოუცხადეს ახალ მთავრობასა და
წესწყობილებას.

მეჯლისის არჩევნებში გაცილებით მეტმა ხალ-
ხმა მიიღო მონაწილეობა, ვინმ ეს ნაამბობი იყო
გაზეთებში. ამორჩეული დეპუტატები ნელ ნელა
იკრიბებიან თეირანში.

ამ ჟამად რუსეთის საელჩოსა და სპარსეთის
მთავრობას შორის თეირანში გამართულია მოლა-
პარაკება ბევრ. მეტად მნიშვნელოვან, საგანზე. სპარ-
სეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ
ყველა გარეშე სახელმწიფოსთან მეგობრობა შეი-
ნარჩუნოს, მაგრამ ამავე დროს იგი ყველაფერში
კონსტიტუციის თანახმად იქცევა, რადგან კარგად
ესმის, რომ პასუხი უნდა აგოს მეჯლისის წინაშე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** **დაბალ პოლიციის რეფორმა.** სატახტო ქა-
ლაქის გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა
სამინისტრო იმუშავებს კანონ პროექტს, რომლი-
თაც დაბალ პოლიციის სრული რეორგანიზაცია
უნდა მოხდესო. კანონ-პროექტის შესამუშავებლად
ცალკე კომისია შეუდგენიათ. პოლიციის სრული
რეორგანიზაციის შესახებ საკითხი აღუძრავს შინა-
გან საქმეთა მინისტრის ამხანაგ კრიჟანოვსკის. ამ
უკანასკნელის სიტყვით პოლიციელები იმდენად
მოუხეშავები არიან, იმდენად არ შეეფერებიან თა-
ვიანთ დანიშნულებას, რომ აუცილებლად საჭიროა
დაბალ პოლიციის სრული რეორგანიზაცია. კრი-
ჟანოვსკის აზრით საჭიროა პეტერბურგში დაარს-
დეს კურსები და ვისაც პოლიციაში შესვლა უნდა,
ეს კურსები უნდა გაათავოს, სხვათა შორის კრიჟა-
ნოვსკი თხოულობს, რომ შეიცვალოს დარაჯების
(გოროდოვოის) ფორმა. სალდათის ფორმა ხალხს
აფრთხობსო, სწერს კრიჟანოვსკი. პოლიციელობა
საპატიო თანამდებობაა, მცხოვრებლები მათ პატი-
ვისცემით უნდა ეპყრობოდნენ და ამისთვის უპირ-
ველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თვით პოლიციელე-
ბი მცხოვრებლებს პატივისცემით და კარგად ეპყ-
რობოდნენო. ამ კანონ-პროექტს სახელმწიფო სა-
თათბიროში მომავალ სესიაში შეიტანენ.

ათასნაირი ეგზამენები რომ დაუარსონ დარაჯ-
ებს, მაინც ვერ გაასწორებენ მათ. როგორი ტა-
ნისამოსიც უნდა ჩააცვან, მათ ზნეობას ვერ აამაღ-
ლებენ. სიტყვით რაც გინდათ ის ილაპარაკეთ და
საქმით არა გასწორდება-რა. დარაჯების ზნეობ-
რივი მხარე ერთმა დარაჯმა ძლიერ კარგად დაა-
სურათა. იმან სთქვა: „ჩვენ გვეუბნებიან, რომ და-
ვიჭიროთ ქურდები, ყაჩაღები და ბოროტი კაცები.
არა გვჯერა, რომ ჩვენზე უარესები კიდევ იყვნენ
სადმე"ო.

*** **თვით მეგზლეობა სასწავლებლებში.** საერო
განათლების სამინისტროს სასწავლებლების საქმეთ-
სასანიტარო განყოფილებას გამოუქვეყნებია ცნო-
ბები, საიდანაც სჩანს, 1908 წელს რამდენ მოსწავ-
ლეს მოუკლავს თავი, ან განუზრახავს თვითმკვლ-
ლობა. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, 1908 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მოუკლავს 83, თავის მოკვლა განუზრახავს 49 მოსწავლეს. თავი მოუკლავს 19, თავის მოკვლა განუძრახავს 23 ქალიშვილს. ყველაზე მეტი თვითმკვლელობა მომხდარა საშუალო სასწავლებლებში —43 ვაჟი და 18 ქალიშვილი, შემდეგ მოსდევს უმაღლესი სასწავლებელი —16 სტუდენტი და ბოლოს დაბალი სასწავლებელი—6 ვაჟი და 1 ქალიშვილი. 62 შემთხვევაში მოსწავლეებს მიუმართავთ სასროლ იარაღისთვის, თავი მოუწამლიათ 22 შემთხვევაში, წყალში გადავარდნილან 3, თავი დაუხვრეტიათ—11, მატარებელს ქვეშ ჩავარდნილან 2 შემთხვევაში. თვით-მკვლელობის მიზეზი: ნერვებით მოშლა (31), ფიზიკური ავადმყოფობა (2), ეგზამენები (4), ნიშნები (2 თვითმკვლელობა და 7 განზრახვა), გამორიცხვა და სასწავლებლების უფროსებთან ჩხუბი (თითო), შიში დასჯისა (2 თვითმკვლელობა, 4 განზრახვა), ოჯახი (14 თვითმკვლელობა და 10 განზრახვა), უიმედო სიყვარული 16),

*** **ექსარხოსი.** გუშინ „ტფ. ლისტ"-დან ამოვიღეთ, რომ საქართველოს ექსარგოსად ნიშნავენ ალიუტის მთავარ-ეპისკოპოს პლატონსაო. ეხლა იგივე გაზეთი სწერს, რომ უფრო სარწმუნო კანდიდატი ტამბოვის ეპისკოპოსი ინოკენტიაო.

ალბად სწერი მასალა შემოკლებია „ტფ-ფურცელს". ვის ეინტერესება ექსარხოსის დანიშვნის საქმე. იცის ყველამ კარგად, თუ როგორ იმსახურებს იგი, ტამბოველი იქნება, კამჩატკელი თუ ორენბურგელი. 1880 წლებიდან საეკზარხოსო ადგილი შეიქმნა ჩვენში მიტროპოლიტობის ხარისხის მისაღებად. მიტროპოლიტობას რუსეთში ისე ადვილად ვერავინ ეღირსება. დამსახურების გაჭიმვა ისე ადვილად არ შეიძლება შიგა რუსეთში. როგორც აქ. ექსარხოსებისათვის ოთხი წლის სამსახური საკმაოა, რომ მიტროპოლიტობა მიიღოს. ძველ დროში ოცი წელიწადი მსახურებდენ, მაგრამ მაინც ვერ ეღირსებოდენ ამ დიდ ხარისხს...

*** **ქართველება მაუნხენში.** ამ ჟამად მიუნხენის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 10 ქართველი. ამათგან პოლიტეხნიკუმში სწავლობს 6 კაცი, უნივერსიტეტში—3, სამხატვრო აკადემიაში —1. წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ერთმა ქართველმა, იორდან გოცაძემ, საექიმო ნაწილი მედიცინის დოქტორის ხარისხით.

ძლიერ ადვილად სტყუვდებიან ჩვენი ქართველი მშობლები ამისთანა გაზეთის შენიშვნებით. მართალია ჩვენი ყმაწვილი ვაჟები ბევრნი არიან ევროპაში, მაგრამ თავს არ იტეხენ სწავლის მიღებით. ისინი ჩვენ ქართულ გაზეთებს კითხულობენ და ბოლოს ქუჩებში დასეირნობენ და არშიყობენ. ან კი როგორ შეიძლებენ ევროპის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, როდესაც მათ საშვალო კურსი დასრულებული არ აქვსთ? შეეცარიიდან ჩამოსული ბევრნი არიან, მაგრამ ერთი ორის გარდა ვერავის ვხედავთ რიგიან ნასწავლთ...

*** **დეშუტატი ტამოშკინი.** „კასპის" სიტყვით ამ დღეებში ბაქოში ჩასულა კავკასიის რუს მცხოვრებთა დეპუტატი ტიმოშკინი 14 აგვისტოს. „ჟეშმარიტ რუსთა კავშირის" სადგომში ტიმოშკინს წაუკითხნია მოხსენება სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე ფრაქციების მოქმედების შესახებ.

*** **სემინარიების რეფორმა.** „რანეე უტრო" იუწყება: სინოდთან არსებულმა სამოსწავლო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა სემინარიების რეფორმის შესახებ კანონ-პროექტი. ამ პროექტს განსახილველად წარუდგენენ განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც მუშაობას სექტემბრიდან შეუდგება. პროექტით სემინარიაში საღვთისმეტყველო კლასებს მოემატება, ორის მაგივრად იქნება სამი კლასი, ამისდა მიხედვით დაიკლდება საზოგადო განათლების კლასებს, იქნება სამი ოთხის მაგივრად. პროექტის ავტორების აზრით. პროექტების მიზანია, სემინარია ისე გადაკეთდეს, რომ მოწაფეებს გაუძნელდეთ უნივერსიტეტებში გადასვლა*).

*** **ჩამოხრჩობა.** 21 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ტფ. საგუბერნიო სატიმროს ეზოში სისრულეში მოიყვანეს კაკ. სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ილია ჭავჭავაძის მოკვლისთვის ჩამოხრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი ივანე ინაშვილის, გიორგი ხიზანაშვილს და

---

*) უნდა მიულოცოთ სემინარიის მოწაფეებს ეს ახალი რეფორმა. სამდვდლოთ ისინი არ ვარგან, უნივერსიტეტში ვერ შეველიან და პროლეტარად გახდებიან. აი, სწორეთ მაშინ ეშველება ქვეყანას და რეფორმებს უნდა მოველოდეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ლაბაურს. ამავე დილით ჩამოაღრჩეს იოსებ ფუტაშვილი, რომელსაც ეს სასჯელი ცარცვა-გლეჯისთვის გადაუწყვეტეს.

** **სოფლის ექიმების გაგზავნა საზღვარ-გარედ და უნივერსიტეტში.** კავკასიის სამკურნალო გამგეობას აზრად აქვს დრო-გამოშვებით სოფლის ექიმები ჭგზავნოს ხოლმე საზღვარ-გარედ ან რუსეთის უნივერსიტეტში. გაგზავნილ ექიმს ხაზინიდან, ჯამაგირს გარდა, ფულად შემწეობაც მიეცემა. (ტ. ლ.)

** **საიდუმლო კანტროლი.** პირველ სექტემბერს პეტერბურგიდან ჭგზავნიან თურმე ამერ კავკასიის რკინის გზაზე საიდუმლო კანტრალიორებს. ეს კანტრალიორები მატარებლებზე საიდუმლოდ ივლიან და ყოველ გვარ კანტროლს გასწევენ.

** **როგორც** ხმა დადის, მართალი არ არის თურმე გაზეთების ის ამბავი, ვითომ ბაქოს ეპისკოპოსი, ექსარხოსის თანამდებობის აღმასრულებელი, გრიგოლ რუსეთიდან აღარ დაბრუნდება. ეპ. გრიგოლი, აგვისტოს ბოლო რიცხვებში დაბრუნდება პეტერბურგიდან და შეუდგება ექსარხოსის თანამდებობის იღსრულებას. როგორც ამბობენ, საკითხი ექსარხოსის თანამდებობის გაუქმების შესახებ ჯერ არ არის გადაწყვეტილი, არც ის არის თურმე გადაწყვეტილი, თუ ვინ იქნება დანიშნული ამ თანამდებობაზე.

** **ეპისკოპოსის მოწვევა.** როგორც ვწერდით, 1 სექტემბერს სემინარიის ახალ შენობაში ვაკეზე აკურთხებენ ეკკლესიას. ამ დღისთვის რუსეთიდან მოუწვევიათ ყოფილი რეკტორები ტფ. სემინარიისა: ცნობილი შავრაზმელები—სარატოველი გერმოგენი და პოლოცკელი სერაფიმე, აგრეთვე ლადოგის ეპისკოპოსი ნიკანდრი და ტაშკენტისა დიმიტრი (ბაბაძე). („დროება")

ძლიერ კარგს იზმადენენ, რომ ყ-დ სამღვდელო ევთიმეც (ელიევი) მოეწვიათ. ვოსტორგოვიც რომ დასწრებოდა, მაშინ ხომ დიდებული კურთხევა იქნებოდა, რადგან ის ჯეროვანთ შეაქებდა ხსენებულ მღვდელ-მთავართა მოღვაწეობას სემინარიის სამსახურის შესახებ და, განსაკუთრებით, მისსიონერულ განათლებას, რომელთა წყალობით ერთი მალაკანი აღარ დარჩენილა თბილისში, რომ მართმადიდებლობის სარწმუნოებისათვის არ შემოეერთებინოსთ.

** სინოდის დადგენილებით მომავალ სამოსწავლო წლიდან სემნარიებში მიიღებენ თავისუფალ მსმენელებს. გარეშე პირებს თავისუფალ მსმენელებად მიიღებენ მეხუთე და მეექვსე კლასებში. თავისუფალი მსმენელები, როგორც სხვა მოწაფეები, უნდა დამორჩილნენ სემინარიაში შემოღებულ წეს-რიგს.

** 17 აგვისტოს მდინარე სუნგარის ნაპირზე, ხარბინიდან 4 ვერსტის მანძილზე, ახალი შეტაკება მოსვლიათ რუსებსა და ჩინელებს. რუსის გემი „ოლონეც"-ი, ხარბინს ახლო, დაეჯახა თურმე ჩინელის ნავსა. თუმცა გემმა სრულებით არ დაზიანა ნავი, მაგრამ ჩინელმა ჯარის კაცებმა მაინც ჯერ სროლა დაუწყეს რუსის გემს, მერე ზედ აცვინდნენ, თოფის კონდახებით საშინლად სცემეს გემზე მოსამსახურეებს, დაიჭირეს გემის უფროსი პოპოვი და თავიანთ ნავის ქვედა სართულში ჩასვეს. მერე რუსის ჯარის კაცებმა განთავისუფლეს პოპოვი (რ. ს.)

დ. სურამი. 15 მარიამობისთვეს სოფ. იტრიაში, რომელიც სურამზეა მიბმული, დღეობა სცოდნიათ. ჯერ კიდევ 14-დან იწყო ურმებისა და ქვეითა მლოცველთა დენა. ამინდი ხელს უწყობდა და ღამის სათევად ბლომა ხალხი ქუჩდებოდა. დღეობა, ღამის თევა ჩვენში დღევანდლამდის ერთად-ერთი საშუალებაა ნახო შენი ახლი და შორეული ნათესავი, სასურველი ნაცნობი და მეგობარი. დასავლეთ საქართველოში დღეობა-ჯარობის გარდა, დიდი ხანია შემოღებულია ბაზრობა, სადაც თითქმის მთელი გუბერნიის ხალხი იკრიბება და თავის საოჯახო საქმეებს აწყობს, ჰყიდის და ყიდულობს, ინახულებს ნაცნობ-ნათესავთ და მოკეთეთ, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში არსადაა ამისთანა ბაზრობა, ამიტომ საეკლესიო დღეობა ბაზრობის მაგიერობას ეწევა. ვისაც ლოცვა-კურთხევა ენდა, ეკკლესიას არა შორდება, ვისაც ყიდვა-გაყიდვა—ბაზარ-დუქნებს, ვისაც კიდევ ნაცნობ-ნათესავთა ნახვა-მოლხენა, ისინი მინდორ - ველებზე მხიარულად ატარებენ ამ ერთ დღე-ღამეს, ისვენებენ მთელი წლის შრომის შემდეგ.

იტრიაში ძველად ნაშენები ეკკლესია სდგას. ეკკლესია გეგმით ჩვენ ქალაქის ანჩისხატის ტაძარსა ჰგავს. კედლები შიგნით-გარედან თეთრად არის გალესილი, თუმცა ვფიქრობ, რომ, როგორც ბევრ სხვა ეკლესიის მხატვრობა, დამალულია თეთრ იაფ კირით, ისევ აქაც ჩვენი მამების დაუდევრობის გამო. ეკკლესიაში ფეხის შედგმისათანავე მომესმა რუსული „იაკო ტვოე". გამიკვირდა და იქვე მდგომთ ვკითხე: მღვდლის ვინაობა. მითხრეს ქართველიაო. მაშინ ფიქრს მივეც თავი ერთის წუთით, წარმომიდგა ჩემი თავი კ ევის ლავრაში, სადაც

ვთხოვ ქართულად პარაკლისის გადახდას. მკითხველი მიხვდება, რა პასუხს მივიღებ. ნეტა მ. მღვდელს რისთვის დასჭირდა ამდენი მლოცველების პირღია და თვალებ დაჭყეტილების დატოვება რამდენსამე ხანს! ნუ თუ ქანქარი ასე ტკბილია, რომ იმის გულისთვის, ვინ იცის, საიდან მოსული აუარებელ მლოცველებს გაუგებარ ლოცვას ასმენინებს! ბევრი ხომ მარტო რამდენიმე წამით შედის ეკლესიაში, სანთელს აანთებს და ისევ უკან გზას უდგება. რა გააგონა მღვდელმა ამისთანა მლოცავს? მახსოვს, წინა წლებში ამავე ეკლესიაში, უცხო კანტ-კუნტ მლოცავებს, როგორც წელს, მღვდელმა მოახსენა—წიგნები არ არის რუსულ ენაზე და ამიტომ ქართულად გადაგიხდითო. ეხლა ალბათ წიგნები უშოვნია.

ღამის თევა მშვიდობიანი და წყნარი იყო. ლხინი და თამაში გამართეს, მაგრამ არ ისმოდა ჩვეულებრივი დაირის და გარმონის ხმა. თამაშობდნენ დოლსა და დუდუკზე, თუ ვინმე მოქეიფე ამას მოინდომებდა თავის თავის შესაქცევად. მოსულ ქალებს თან უნდა მიეტანათ დაირა და გარმონი, როგორც კვლავ უქნიათ და მაშინ მათ ლხინს და თამაშს უფრო მეტი სიმხიარულე, მეტი სიცოცხლე ექნებოდა, თორემ წამ და უწუმ დოლის დაჩოქება აღონებდა სათამაშოდ მოკოპწიაებულ ლამაზ და ელფერიან იქაურ ქალებს. უნდა გამოვტყდე, ორიოდ გასათხოვარ ქალს მეტად ეტყობოდა ფერუმარილის ხმარება, რაც მათ სილამაზეს აკლებდა და არაფერს კი არა ჰმატებდა.

მეორე დღეს წირვაზედ ნამდვილი დომხალი მოემზადებინა ჩვენ სულიერ მამას. ქართულ-რუსულ კვერეკსებით და ასამაღლებლებით ხალხს თითქოს იმას ეუბნებოდა—უყურეთ, როგორ თავისუფლად ვიცი ორივე ენაო. მგალობლებად იყვნენ ადგილობრივ კომანდის სალდათები. თუკი სალდათები ბარტნიანსკის „იეე ხერუვიმი“-ს მოახერხებენ, მამაო, თქვენ რაღას აკეთებთ, რატომ არ შეგიძლიანთ ამ დღეობისთვის ამოდენა მილეთის ხალხს გააგონოთ ქართული გალობა? რატომ არ შეიდებთ თაეს, სამრევლო სკოლის მოწაფეთაგან არ მოამზადებთ მგალობელთა გუნდს და ამ თქვენთვის გამოსაჩენ დღეს არ აგალობებთ ეკლესიაში?

(„დროება“)



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღმრთოებასა და კეთილმსნელობაზე.

სახარება მათესი.

თავი მესამე.

იოანე ნათლის მცემელი და მისი ქადაგება (1—12)
ნათლისღება ქრისტესი (13—17)

მათ დღეთა შინა მოვიდა იოანე ნათლის მცემელი. ეს სიტყვები იმას არ აღნიშვნენ, რომ იოანე ნათლის მცემელი გამოვიდა საქადაგებლად იმ დღეებში, როცა იესო მაცხოვარი ეგვიპტედან დაბრუნდა, მიტომ, რომ ნათლის მცემელი მხოლოდ ნახევარი წლით იყო იესო მაცხოვარზე უფროსი; გარდა ამისა ლუკა მახარებლის მოთხრობიდან სჩანს, რომ, იოანე საქადაგებლად გამოვიდა პილატეს დროს, ე. ი. მაშინ როცა იესო ქრისტე ოცდა ათი წლისა იყო. საღვთო წერილში ხშირად იხმარება სიტყვები: მათ დღეთა შინა, მას ჟამსა შინა, აღსანიშნად იმ გვარ შემთხვევათა და ამბავთა, რომლებიც მოხდნენ რაოდენიმე ხნის განვლის შემდეგ; საზოგადოდ ეს სიტყვები არა ნიშნავენ განსაზღვრულს ქრონოლოგიურს თანდათანობას.

იოანნე, ძე ზაქარიასი და ელისაბედისა იწოდება ნათლის მცემლად მიტომ, რომ ის ნათლავდა წყლით მასთან მოსულებს და ცოდვითა აღმსარებლებლებს; მანვე ნათელს სცა იესო ქრისტესაც. ნათლის მცემელი ჰქადაგებდა ურიასტანის უდაბნოში, რომელიც მდებარეობს მკვდარი ზღვის დასავლეთით და რომელშიც საზოგადოდ მცირეა რიცხვი სოფლებისა, ქალაქ დაბებისა და მცენარეულობისა. ნათლის მცემელი უქადაგებდა შეგროვილ ხალხს პირ დი პირ, უქადაგებდა სინანულს—შეინანეთ, რამეთუ მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა. სასუფევე-

ლი ცოცა იგივეა, რაც სასუფეველი ღვთისა, სასუფეველი მესიისა. ურიებს ეს სასუფეველი ჰქონდათ წარმოდგენილი ხორციელად, გარეგნულად, იოანე ნათლის მცემელი კი ქადაგობს შინაგანს სულიერს სასუფეველზე.

გარეგნობით, მახარებელის განმარტებით იოანე ემსგავსებოდა იმ წინამორბედებს, რომლებიც ჩვენს დროში იგზავნებოდნენ მეფეთა წინ გზების შესასწორებლად. სინანულის მქადაგებელს იოანეს ეცვა უბრალოდ და უბრალოდვე სცხოვრებდა, მისი სამოსელი მოქსოვილი იყო აქლემის მსხვილი ბეწვისგან, ერტყა წელზე ტყავის სარტყელი და საზრდოობდა ველური თაფლით და კალიით.

იოანესთან იწყეს სიარული ქადაგების მოსასმენად, ცოდვათა აღსარებად და მოსანათლად იერუსალიმიდან, მთელი ურიასტანიდან და იორდანის გალმა-გამოღმა მხარეებიდან. წყალში გაბანვა ტანისა ურიებს ძველი დროიდანვე ჰქონდათ ჩვეულებად და ეს განბანვა ითვლებოდა განწმედის ნიშნად. ურიები წარმართობიდან მათ სჯულზე მოქცეულებს განბანდნენ ხოლმე ნიშნად იმისა, რომ მოქცეულმა დაუტევა ძველი სჯული და ახალს შეუდგა. იოანეს ნათლის ცემა კი სულ სხვა იყო; იოანე თხოულობდა ცოდვათა მონანებას, ეს იყო ნათლისღება სინანულისა და ამზადებდა ხალხს მომავალი მაცხოვრის მისაღებად.

გარდა უბრალო ხალხისა, იოანეს ქადაგების მოსასმენად მოდიოდნენ მაღალი წოდების პირნიც —ფარისეველნი და სადუკეველნი*). იოანემ იცოდა მათი ცხოვრება და მოძღვრება და პირდაპირ მიმართა მათ მხილებით. ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩვენა თქვენ სიფლეთოდან მერმისი მისგან რისხვისა?, ე. ი. თუ თქვენ წმიდები ხართ და სცხოვრობთ თანახმად სჯულისა, რათ გეშინიანთ მომავალი რისხვისა და სასჯელისა; მაგრამ რადგანაც ისინი სინანულისთვის მოვიდნენ, იოანე განაგრძობს: ჰუაჯთ უკეე ნაყოფი დირსი სინანულისა, ანუ მოიქეცით სამართლიანად და აღარ ჩაიდინოთ ცოდვები. ფარისევლები ამაყობდნენ აბრაამისგან შთამომავლობით და ეგონათ, რომ ეს საკმარი იყო სასუფეველის დასამკვიდრებლად; მაგრამ ნათლის მცემელი უხსნის მათ, რომ ხორციელად შთამომავლობა აბრაამისგან სრულიადაც არ არის საკმარი ზესთა სასუფეველის დასამკვიდრებლად. ყოვლად შემძლე ღმერთს შეუძლიან ქვებისგანაც აღუდგინოს ძენი აბრაამს. სასუფეველის დამკვიდრება შეიძლება სინანულით და უცოდველი ცხოვრებით. რადანაც ეხლა სასუფეველი მოახლოებულია, ამიტომ მარჯვე დროა ცოდვათა შენანებისთვის—აწვე ესერა ტუღი ძირთა თანა ხეთასა სძესს და ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს ნაყოფს, ე. ი. კაცნი, რომელთა საქმეები არ ამოწმებენ მათს კეთილს გრძნობებს და აზრებს, იქნებიან მოკვეთილნი ცეცხლით.

იოანეს ნათლის ცემა, როგორც მოვიხსენეთ ზემოთ, იყო მხოლოდ მომამზადებელი. მის შემდგომ მოვა იესო, რომელიც ისე დიდია იოანეზე, რომ ეს უკანასკნელი უბრალო მოსამსახურეთაც კი არ ეკადრება მას. იესო ნათელს სცემს სალს ცეცხლითა და სულითა წმიდითა. იესო ემსგავსება მუშა კაცს, რომელიც კალოზე ანიავებს პურს. ხორბალს ის ინახავს საუნჯეში, ხოლო ბზეს სწვავს ცეცხლით. კალო არის ურიათა ერი, ხორბალი—სასუფეველის ღირსი პირები ურიათაგან, ბზე—ცოდვილები.

როცა იოანე ჰქადაგებდა იორდანის პირზე, მასთან მოვიდა იესო გალილიიდან ნათლისღებად. ქრისტეს, როგორც სრულს და უცოდველს არ ესაჭიროებოდა ნათლის ღება, მაგრამ მან ნათელი იღო მისთვის, რომ განეწმიდნა ნათლის ღება და გამოსცხადებოდა სოფელს, როგორც აღთქმული მესია. იოანე თვითონ მოელოდა იესოსგან ნათლის ღებას და აყენებდა მას, მაგრამ, როცა იესომ უბრძანა მას, რომ საჭიროა აღსრულება ყოველისა სი-

---

*) **ფარისეველები** განირჩეოდნენ ყველა სხვა ურიათაგან სჯულის მტკიცე აღსრულებით და კიდევ გარეგნობითაც. გარდა მოსესგან დაწერილი სჯულისა, ისინი ასრულებდნენ კიდევ სხვა სჯულსაც, რომელიც დაუწერელია. რომელიც ინახებოდა ხალხში ერთიდან მეორეზე გადაცემით. ისინი სასტიკად თხოულობდნენ დაუწერელ სჯულის აღსრულებას და თიაქმის მაზსეს დაწერილ სჯულზედ მაღლაც კი აყენებდნენ. ისინი მხოლოდ ეჩვენებოდნენ ხალხს სჯულის სასტიკი და მტკიცე აღმასრულებლებად. მაგრამ ნამდვილად კი იყვნენ ცბიერები, მოჩხუბრები, ცრუ წმიდანები, ჭორიკანები, პირმოთნეები, პატივის მოყვარულები და ძალიან საეკვო ზნეობის ხალხი. მაგრამ, ყველა ამასთან, უეჭველია რომ მათ შორისაც იყვნენ ტეშმარიტ გულით მორწმუნე კაცები, როგორც სავლე, გამალიელი და სხვ. ფარისევლებს საზოგადოდ დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხზე, ითვლებოდნენ მის ხელმძღვანელებად. **სადუკეველნი** იყვნენ შეხედულობით ფარისეველთა მოწინააღმდეგენი; მათ არა სწამთ არა გვარი გარდმოცემა და დაუწერელი სჯული. ისინი უარყოფდნენ სულის უკვდავებას, აღდგომას, ანგელოზთა არსებობას. ისინი არ იყვნენ ფარისეველებივით რიცხვ მრავალნი, მაგრამ მდიდრები იყვნენ და ამიტომ ჰქონდათ კიდეც გავლენა, ნამეტურ ხალხის მაღალ წრეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლისა. ნათელს სცა მას. წყლიდან ამოსვლის შემდეგ, იესოს განეხვნეს ცანი და მაზედ გადმოვიდა მტრედის სახით სული წმიდა; თან მოისმა ხმა მამა ღვთისა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყვ. იესო აქ იწოდება „ძე ღვთისად". ამით აღინიშნება მისი დამოკიდებულება მამა ღმერთთან.

თავი მეოთხე.

გამოცდა იესო ქრისტესი უდაბნოში (1—11) მისი დამკვიდრება კაპერნაუმში (12—17). მოწოდება მეთევზეთა (18—22) დიდება იესოსი (23—25).

მაშინ, ე. ი. შემდეგ ნათლისღებისა იოანესაგან იორდანეში, იესო სული წმიდის მიერ აღყვანილ იქმნა უდაბნოში გამოსაცდელად ეშმაკისგან.

ამბავი იესო ქრისტეს გამოცდისა სავსებით აქვთ მოთხრობილი მათეს და ლუკა მახარებლებს; მარკოზი ამას მოგვითხრობს სულ მცირედ. იოანე კი სდუმს.

ურწმუნოებმა ბევრი სხვა და სხვანაირი თეორიები შეთხზეს და ხერხი იხმარეს იესო ქრისტეს გამოცდათა სინამდვილის უარსაყოფელად. ზოგს ჰგონიათ, რომ გამოცდა ეშმაკისგან იყო მხოლოდ მოჩვენება ან სიზმარი, და არა ნამდვილი ამბავი. მაგრამ ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები საღვთო წერილში არ მოიპოვება. როცა საღვთო წიგნების მწერლები აღწერენ რაიმე ჩვენებას, მაშინ ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ იყო ჩვენებაო (მაგ. საქმე მოც. 9, 12: 10, 3, 10; 11, 5; 18, 9; 22, 17; საცა აღწერილია პეტრე და პავლე მოციქულების ჩვენებანი.) გარდა ამისა მაცხოვარს, როგორც სრულს არსებას, როგორც ღმერთს სრულიად არ უნდა ჰქონოდა და არცა ჰქონია ჩვენებანი, იგი ყოველთვის და ყველაფერს, როგორც ღმერთი და ძე ღვთისა ხედავდა ცხადად. უფრო შეიძლება ამ ამბის სიზმრად ჩათვლა, მიტომ რომ თუ იესო სიზმარში ებრძოდა თავისს ბოროტს განზრახვებს, ბოროტს სურვილებს და აზრებს, მაშასადამე ცხადლივაც უნდა ჰქონოდა მას ეს ბოროტი განზრახვები და ბოროტი სურვილები; ეს კი ეწინააღმდეგება მაცხოვრის სრულს სიწმიდეს და უმწიკვლობას. წინააღმდეგივეა მაცხოვრის ბუნებისა ის ახსნა, რომლითაც მაცხოვარი ებრძოდა ვითომც თავის შინაგანს ენებას, შინაგანს ბოროტს სურვილს.

ზოგნი ჰგონებენ, რომ მოთხრობა მახარებლების გამოცდის შესახებ არის იგავი, რომლითაც მაცხოვარმა ამცნო მოციქულებს, რომ მათ არ უნდა მოახდინონ სასწაულები თავის სასარგებლოდ (ქვათა გარდაქცევა პურად). არაფრის ქმნა არ მოისურვონ ღვთის იმედით, თუ ეს დაბადებს ხალხში ცრუმორწმუნეობას (თავის გარდაგდება ტაძრის სართულიდან) და არ დაიჭირონ კავშირი ბოროტ სულთან, თუნდაც სასარგებლოც რომ იყოს ეს მათთვის. მაგრამ არც ეს ახსნა ეთანხმება სახარებას და მახარებლების წერის ჩვეულებას. მახარებლები იგავს ყოველთვის იგავად სთვლიან და იგავად სწერენ, აქ კი არ ამბობენ, რომ ეს მოთხრობა იგავიაო.*)

საეკლესიო კითხვების განმარტება,

I

მამაო ჩვენო!

კითხვა. გთხოვთ თქვენი გაზეთის „მწყემსის" საშუალებით განგვიმარტოთ შემდეგი კითხვები: 1) მედავითნე მსახურობს ერთს ადგილზე 14 წელიწადი. შემთხვევით ოლქის სასამართლოდან აქვს მისჯილი ორი თვის სასჯელად ციხე. შემდეგ სასჯელის გათავებისა, აქვს თუ არა უფლება სამსახურის გაგრძელებისა მისივ თანამდებობაზე? 2) შეუძლია თუ არა ადგილობრივი მღვდელ-მთავარის შუამდგომლობით ამისანა დასჯილს ციხე შეეცვალოს მონასტერში გაჩერებით?

---

*) ურწმუნო კრიტიკოსებს ისიც აწუხებთ, რომ მათე მახარებლის მოთხრობით უკანასკნელი გამოცდა ლუკა მახარებელს მოთავსებული აქვს მეორე ადგილზე „გამოცდა მთაზე", ხოლო მათეს მოთხრობის მეორე გამოცდა ლუკას მოთავსებული აქვს ბოლოს „გამოცდა ტაძრის სართულზე". ამას კრიტიკოსები დიდ წინააღმდეგობად რაცხვენ და უარყოფენ ამ ამბის სინამდვილეს. მაგრამ ეს განსხვავება მახარებელთა მოთხრობაში მითი აიხსნება, რომ მათე მახარებელი ყურადღებას აქცევს მოთხრობათა ქრონოლოგიურს მხარეს, რაც ცხადად სჩანს სიტყვებიდან „მაშინ" „კვალად". «შეუძლებელია, რომ ეშმაკს გაებედნა იესოსთან მიახლოება სასტიკი ბრძანების შემდეგ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა!» ლუკა კი უმთავრესს ყურადღებას აქცევს იმ ადგილებს, საცა მოხდა გამოცდა. ამის შემდეგ უნდა დაიბეჭდოს: იესო ქრისტე მოვიდა ქვეყნად და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი გ ე ბ ა. 1) ორი თვით ციხეში დაჯდომით დასჯილ პირს არა აქვს უფლება, რომ სასულიერო წოდების სამსახურში შევიდეს. ამას ცხადათ გვიმტკიცებენ წმ. მამანების კანონები და მსოფლიო კრების განმარტებანიც.

2) შეუძლებელია, რომ ოლქის სასამართლომ ორი თვის ციხე რომელიმე დასჯილს უდაბნოში წასვლით შეუცვალოს. მონასტრის ცხოვრება სრულებით არ ემსგავსება ციხეში ცხოვრებას. უდაბნოში ცხოვრება, რომ ციხეში ცხოვრების მსგავსი იყოს, ერთი ბერიც აღარ დარჩებოდა უდაბნოში...

II

კ ი თ ხ ვ ა. მ. **რედაქტორს**! დაბლა საქარის წმიდის გ-ის ეკლესიაში დავიწყე ამ წელში საზიარებლად სიარული 2 ამა აგვისტოდან, მაგრამ უმჯობესი იყო სრულებით თავი დამენებებია ზიარებისათვის ეკკლესიაში. მე ვნახე აქ ოთხი ახალგაზდა ქალიშვილები: ნ. ჭ-ძე, ა. ნ-ძე, პ. ჭ-ძე და ა. ლ-ვა, რომელთა საქციელი მეტის მეტად საზიზღარი და უზნეო იყო. ეს ახალგაზდა ქალიშვილები ისე ურცხვად იცინოდენ ტაძარში და ისე საძაგლად დასცინოდენ მოხუცებულ ქალებს და ახალგაზდებსაც, რომ მე მრცხვენოდა მათ მაგიერ. გვიკვირს, რომ ადგილობითი მღვდელი და მედავითნე არაფერ შენიშვნას არ უცხადებდენ ამ ქალიშვილებს და გარეთ არ გაიყვანეს ეკკლესიიდან!

მ ი გ ე ბ ა. იმათთვის ვინც ეკკლესიაში მისცემს თავის თავს ნებას ქირდვისა და უჯერო და თავ დაუჭერელ სიცილისას, არ კმარა ეკკლესიიდგან მათი გარეთ გამოყვანა. ისინი სასტიკად ისჯებიან სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ მღვდელს არ გაუგია კიდევ ჯერეთ განკარგულება ქუთაისის გენერალ გუბერნატორისა, რომელიც ავალებს სათანადო პირებს, რომ სიცილის ნება და ხუმრობისა არა თუ ეკკლესიაში, არამედ ეკკლესიის გალავანშიაც არავის მისცენ და ვინც შენიშნული იქნება, იმათ ოქმი უნდა შეუდგინონ და სასამართლოს გარდასცენ. მაგრამ ამისთანა უსირცხვო პირების დატუქსვა და ეკლესიიდან გარეთ გასვლის მოთხოვა შეუძლია ყველა მლოცველს. მლოცველს პირდაპირ შეუძლია მოთხოვოს გარეთ გასვლა უზნეო საქმის ჩამდენს.

III.

კ ი თ ხ ვ ა. შეუძლია თუ არა ცისკრის და მწუხრის დროს ლოცვანი იკითხოს მღვდელმა ე. ი. „უგალობდით“ შუადამის ლოცვები, ზიარებისა და სხვანი რომელთა წაკითხვა სავალდებულოა მღვდლისათვის?

მ ი გ ე ბ ა. მღვდელი, რომელიც ცისკრის და მწუხრის ლოცვის დროს სხვა სავალდებულო საკითხავ ლოცვებს კითხულობს ატყუებს თავის თავს და აშკარად ამტკიცებს თავის ფარისევლობას, ერთსა და იმავე დროს რომ ორნაირად ილოცოს კაცმა, შეუძლებელია. ამისთანა მღვდელი უმტკიცებს მრევლს, რომ მან თავისი მოვალეობა არ იცის და თუ თავისი მოვალეობა არ ესმის, სხვას რას ასწავლის იგი?..

განცხადება.

გავხსენი დაბა ყვირილაში მაღაზია

კუბოებისა

ხიდ გადმა. ამ მაღაზიაში მსუყეულთ შეუძლიათ მოიპოვონ გარდაცვალებულთათვის ყოველ ნაირი ზომისა და ფასის კუბოები ძლიერ დაკლმბულ ფასებში აქვე მოიპოვება ყოველ ნაირი ფასის და ზომის

ვვირგვინები და ლენტები.

იმედია საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოთ, რადგან არც ერთ ადგილას არ შეუძლიათ ისე პირიან და ხელ მისაწდომ ფასად იყიდონ ეს საჭირო ნივთები სხვაგან როგორც ჩვენ მაღაზიაში. აგრეთვე ჩვენს სახელოსნოში კეთდება სხვა-და-სხვა ნაირი მშვენიერი ჩაფები, წიგნებისა, ტანისამოსის და ყოველგვარი საოჯახო ნივთები.

პატივისცემით **ასლან ბარბაძაძე**.

Дозволено Цензурою 30 Августа 1909 года г. Кутаисъ

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე**, 30 აგვისტო 1909 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ.ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.